23/06/2019

მეუფე კალისტრატე ბაგრატის ტაძარში დაკრძალეს

ქუთათელ-გაენათელი მიტროპილოტი კალისტრატე ბაგრატის ტაძარში დაკრძალეს. ტაძარში ლიტურგია ეპარქიის დროებითმა მმართველმა, რუსთავის მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა შეასრულა.

ტაძარში მეუფეები, სხვა სასულიერო პირები და მოქალაქეები იმყოფებოდნენ. მათი თქმით, დიდია მეუფე კალისტრატეს ღვაწლი და მისი გარდაცვალება დიდი დანაკარგია, როგორც ეპარქიისთვის, ასე მართლმადიდებლური ეკლესიისთვის.

მეუფე კალისტრატე ეპარქიაში რამდენიმე წელი მსახურობდა. მისი ანდერძი იყო, რომ ბაგრატის ტაძარში დაეკრძალათ.

– IPN